*
* *

ტოლი მოუკვდა თედუას,
დარჩა მარტოკა ხევსურ,
არვინ პატრონობს საწყალსა,
სტირის, სვე-ბედსა სწყევსურ.

—

იძახის: აბა, რადა მაქვს
იმედად ამა სოფლადა,
წვრილ-შვილი დამიწოკდა,
რჩება გლახაკად, ობლადა

—

მინდვრადაც ვეღარ მივდივარ,
ვინ მაწვდის საგძალს დღისასა,
ვინ მოგვიმზადებს ვახშამსა
დამისა დასაწყისასა?

—

რა ვქნა, შიმშილსა გავუძლებ,
მით არ ვარ დასადონია,
მაგრამ წვრილ შვილსა რა ვუყო,
ეს კი ვერ მომიგონია.

—

ვის ვუთხრა: სხვაგან მივდივარ,
ვშოულობ სამუშაოსა,
ჩემს შვილს მიხედეთ, გლახათ
არვინ რა დაუშაოსა?

—

ვის ვუთხრა: შვილი დამირწეთ,
იტირონ—უთხართ ნანაი...
განა გულს შემამტკივარი
ვინ არის ამისთანაი?

—

შეწუხება ტფილისის თეატრში მოსიარულე საზოგადოებისა წვიმა-ავდარში.

SOVLAB